ხელშეკრულება № 03-10 / 254
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 12 აგვისტო 2016 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე–2 თავის, მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის ,,ა" პუნქტის შესაბამისად, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი" (ქ. ბათუმი გოგებაშვილის ქ. №46ა) (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ედუარდ ფუტკარაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „გეოპლანტი" წარმოდგენილი მისი დირექტორის მიხეილ ჭკუასელის სახით (შემდგომში _ მიმწოდებელი), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი"–ს მიერ 2016 წლის საკუთარი შემოსავლებით, ჩაის (CPV კოდი 15863000- ჩაის) (შემდგომში „საქონელი") შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი №1–ის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება განსაზღვრება ეროვნულ ვალუტაში – ლარში.
2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება 1238,20 (ერთი ათას ორას ოცდათვრამეტი ლარი და 20 თეთრი) ლარს.
2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, რომლის გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. საქონლის ხარისხი.

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
3.2 მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მისამართის მიხედვით (ქობულეთი, სოფ. გვარა, ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრის" ღვინის სახლი) ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონელი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების შემდეგ.
5.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება–ჩაბარებას ახორციელებს ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრი"–ს ღვინის სახლის მენეჯერი ირაკლი ორმოცაძე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეტაპობრივად, საქონლის რეალიზაციის მიხედვით.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, საქონლის რეალიზაციიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
6.3. განსაზღვრულ შემთხვევაში, თუ საქონლის რეალიზაცია ვერ მოხდება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემსყიდველი უფლებამოსილია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული დოკუმენტაციის საფუძველზე, მიმწოდებელს დაუბრუნოს დარჩენილი საქონელი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
ა) შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
ბ) უზრუნველყოს შესყიდვის საქონლის მიღება.
7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) ვადაგასული ან სხვა დეფექტის მქონე საქონელი ჩაანაცვლოს ანალოგიური და ახალი საქონლით. კონკრეტული საქონელზე არსებული მოთხოვნის გათვალისწინებით, შესაძლებელია ვადაგასული ან დეფექტის მქონე საქონლის მხოლოდ დაბრუნება მოხდეს მიმწოდებლისათვის, მაგრამ არ მოხდეს მისი ჩანაცვლება ანალოგიური და ახალი საქონლით.
ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადების დარღვევის, ასევე წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 0,5 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.2. მიმწოდებელს მიერ უხარისხო საქონლის მოწოდების შემთხვევაში, მიმწოდებელს გაეგზავნება წერილობითი გაფრთხილება. 10 კალენდარული დღის განმავლობაში არსებული ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.1. პუნქტის შესაბამისად.
8.3. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის (მათ შორის, მიწოდების ვადების დარღვევისთვის) დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
8.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, პირგასამტეხლოს თანხა გამოქვითოს მოწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი თანხიდან.
8.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.
10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი.
13.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.
13.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მიმწოდებელი პასუხისმგებელია მოწოდებული საქონლის უვნებლობასა და ხარისხზე.

14.2. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.3 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.4 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.5 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.6 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"
ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი"
ის. ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ. №46ა
ს/კ 445399391

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ედუარდ ფუტკარაძე

„მიმწოდებელი"
შპს ,,გეოპლანტი"
იურ. მის.ქ.ზუგდიდის რაიონი, სოფ. რუხი
ს/ს ,,საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა № GE31BG0000000889230001
ს/კ 2048880780
დირექტორი
მიხეილ ჭკუასელი

ფასების ცხრილი

№	CPV კოდი და დასახელება	საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	CPV კოდი 15863000-ჩაი	პრინცი გურიელი ტრადიციული შავი ერთჯერადი პირამიდა 20ც კონვერტით	ცალი	12	7,95	95,40
2		გურიელი მწვანე ჩაი 100 გრ ჟასმინის არომატით	ცალი	14	3,20	44,80
3		შავი ჩაი "გურიელი კლასიკური" 25 პაკ. კონვერტით	ცალი	12	3,25	39,00
4		შავი ჩაი "გურიელი კლასიკური" ბერგამოტით 25 პაკ. კონვერტით	ცალი	12	3,25	39,00
5		გურიელი ხილის ჩაი ქართული კენკრა 25 პაკ უკონვერტო	ცალი	24	2,30	55,20
6		გურიელი ხილის ჩაი ქართული კენკრა 100გრ	ცალი	15	3,20	48,00
7		გურიელი ხილის ჩაი ქართული სუბტროპიკი 100გრ	ცალი	15	3,20	48,00
8		მწვანე ჩაი "გურიელი კლასიკური" ჟასმინით 25 პაკ. უკონვერტო	ცალი	24	2,30	55,20
9		მწვანე ჩაი 25 ცალი 50 გრ გურიელი უკონვერტო	ცალი	24	2,30	55,20
10		გურიელი მწ/ ჩ 25 პ კონვერტიანი	ცალი	12	3,25	39,00
11		პრინცი გურიელი ტრადიციული აყვავებული ჟასმინი ერთჯერადი პირამიდა 20ც კონვერტით	ცალი	12	7,95	95,40
12		გურიელი ხილის ჩაი ქართული ტყის ხილი 100 გრ	ცალი	15	3,20	48,00
13		შავი ჩაი "გურიელი კლასიკური" ბერგამოტით 25 პაკ. უკონვერტო	ცალი	24	2,30	55,20
14		გურიელი ხილის ჩაი ქართული ტყის ხილი 25 პაკ უკონვერტო	ცალი	24	2,30	55,20
15		გურიელი ხილის ჩაი ქართული სუბტროპიკი 25პაკ უკონვერტო	ცალი	24	2,30	55,20
16		შავი ჩაი "გურიელი კლასიკური" 25 პაკ. უკონვერტო	ცალი	24	2,30	55,20
17		შავი ჩაი "გურიელი კლასიკური" 100 პაკ. უკონვერტო	ცალი	6	7,90	47,40
18		პრინცი გურიელი ტრადიციული ველური პიტნა ერთჯერადი პირამიდა 20ც კონვერტით	ცალი	12	7,95	95,40

19		პრინცი გურიელი ტრადიციული ალპური კენკრა ერთჯერადი პირამიდა 20ც კონვერტით	ცალი	12	7,95	95,40
20		"გურიელი ხილის ჩაი" ქართული ტყის ხილი ერთჯერადი კონვერტით, 25 ც, 50 გრ, ცალი	ცალი	12	3,250	39,00
21		"გურიელი ხილის ჩაი" ქართული სუბტროპიკი ერთჯერადი კონვერტით, 25 ც, 50 გრ, ცალი	ცალი	12	3,20	39,00
22		,,პრინცი გურიელი" პირამიდა შავიჩაი თუნუქის კოლოფით 50 გრ	ცალი	12	3,25	39,00
	ჯამი		ლარი			**1238,20**

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი"
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ედუარდ ფუტკარაძე

შპს „გეოპლანტი"
დირექტორი
მიხეილ ჭკუასელი